ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის საკრებულოს, რაიონის გამგეობისა და საზოგადოება „ლეჩხუმის“ ერთობლივი ორგანო

№5, 20 ნოემბერი, 1999 წელი. გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ ფასი 20 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა მრავალ გიორგობას დაგასწროთ

ცაგერისა და სვანეთის ეპარქიაში მცხოვრებ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ, ერთგულ შვილებს

„გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩვენისა ეკლესიისაო; გიხაროდენ, ძლევაშემოსილო დიდო მოწამეო გიორგი“.

გულითადად გილოცავთ ყოველი მართლმადიდებელისათვის, განსაკუთრებით კი ჩვენთვის, მართლმადიდებელ ქართველთათვის საყვარელ, დიდებულ დღესასწაულ გიორგობას—ხსენებას წმიდისა დიდმოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგისა: გიორგობა საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს აღინიშნებოდა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით კი გიორგობა აღინიშნება 23 აპრილს (ახალი სტილით 6 მაისი), წმიდანის აღსრულების დღეს და 10 ნოემბერს (ახალი სტილით 23 ნოემბერი) ბორბალზე წამების დღე. გადმოცემით ეს დღესასწაული წმიდა ნინოს დაუდგენია.

ყოველ ერს ჰყავს თავისი განსაკუთრებული ზეციური მფარველი, რომელიც ლოცულობს ერისათვის და იფარავს განსაცდელისაგან, საქართველოსათვის მლოცველი ღვთის წინაშე და ზეციური მფარველი ჩვენი ერისა წმიდა გიორგია. წმიდა გიორგი ქართველთათვის გამორჩეული, საყვარელი წმინდანია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოში აგებული ტაძრებიდან უმრავლესობა წმიდა გიორგის სახელზეა აგებული, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით „არა არიან ბორცვნი და მაღალი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შ@ნნი ეკლესიისანი წმიდისა გიორგისანი“. წმიდა გიორგის განსაკუთრებულ სიყვარულზე მიუთითებს ისიც, რომ საქართველოში მცხოვრები მამაკაცების დიდი ნაწილი წმიდა გიორგის სახელს ატარებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ გიორგობას, ღმერთმა მრავალ გიორგობას დაგასწროთ, მშვიდობით, ურთიერთსიყვარულით, სიხარულით.

ღმერთმა მოჰმადლოს წმიდა გიორგის ლოცვით ყოველ მისი სახელის მადიდებელს დიდება და ამაღლება სულით და ხორცით, რათა „სასუფევლისა დიდებასა და დიდად შუენიერსა ბრწყინვალებასა ღუთისასა ღირს—გვყოს ყოველნი. ანგელოსთა თანა უგალობდეთ, წმიდათა თანა ვადიდებდეთ, და მისთანა გვირგვინოსანნი ვაკურთხევდეთ მისსა გვირგვინოსანმყოფელსა მამასა, მისსა განმაძლიერებელსა ძესა, და მის მორის მეტყველსა სულსა წმიდასა. რომელსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“

ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი დავითი

გიორგობა
ცაგერი 1999

ძვირფასო ლეჩხუმელებო!

შეუძლებელია მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ის დიდი აქტიურობა, რომელიც საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნებში თქვენი კეთილსინდისიერი მოქმედებით გამოავლინეთ.

ბევრი რამ ვნახე საარჩევნო კომპანიის პერიოდში... უპირატესად, ეს იყო: სიკეთე, თანადგომა, სამშობლოსადმი ერთგულება—მისი მომავლისადმი რწმენა და იმედი.

უღრმეს მადლობას გიხდით რაიონის ათასობით ამომრჩეველს, რომლებმაც არჩევნებში ნდობა და მხარდაჭერა დაადასტურეთ ჩემი კანდიდატურის მიმართ. ჩემთვის სულერთი როდია თუ როგორი იქნება თქვენი ხვალინდელი დღე!

ვუსურვებ ლეჩხუმსა და ლეჩხუმელებს იმედების გამართლებას, სამშობლოს კეთილდღეობასა და გამარჯვებას!

პატივისცემით

ა. სილაგაძე,
მაჟორიტარი დეპუტატობის ყოფილი კანდიდატი
ცაგერის რაიონის №45
საარჩევნო ოლქში.

გაუფრთხილდით გაზეთს
მასში მოთავსებული
ხატის გამო

31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კვალდაკვალ

⇨ გვ.2



ახალი... ახალი...

⇨ გვ.3 მესმის, რომ მძიმე ტვირთია, მაგრამ არ მეშინია

⇨ გვ.4 არშემდგარი ინტერვიუ და გაუცემელი ხელფასები

⇨ გვ.4 შელახული ღირსების აღდგენის დღე

არჩევნების კვალდაკვალ

წინასაარჩევნო ციებ–ცხელებამ, რომელიც 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით დაგვირგვინდა, როგორც იქნა, ჩაიარა.

მოდით, კიდევ ერთხელ, თვალი გადავავლოთ ამ პერიოდს და საბოლოო შედეგებს.

ამომრჩეველთა რაოდენობა ლეჩხუმის სინამდვილეში 12792 შეადგენდა, აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 10935 ამომრჩეველმა.

მათი რიცხვი განაწილდა სამ მაჟორიტარ დეპუტატსა და 45 პარტიაზე.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოვლინდა ლეჩხუმის საზოგადოების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ძირითადი აქცენტი ამომრჩევლებს მაჟორიტარ კანდიდატებზე ჰქონდათ გადატანილი, რომლებიც გახლდნენ ბატონები: ავთანდილ სილაგაძე, კარლო მუშკუდიანი და გიორგი ჯიაძე. ამდენად, ხალხიც სამად გაიყო, სამივე მხარე თავიანთ რჩეულ კანდიდატს აქტიურად გულშემატკივრობდა. აქედან, პირველ ორს თითქმის თანაბრად გაჩნდა დეპუტატად გახდომის შანსი. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს გულშემატკივრობა ზოგჯერ კონფლიქტურ სიტუაციამდისაც კი მიდიოდა, რაც დეპოლიტიზებულ მოსახლეობას აწუხებდა კიდეც.

არჩევნები პოლიტიკასთან ერთად ერთგვარი აზარტიცაა და ამ აზარტში შესულებს ზოგჯერ გვავიწყდებოდა, რომ, პირველ რიგში, ვართ ქართველები, შემდგომ ლეჩხუმელები და ხშირ შემთხვევაში კარის მეზობლებიც კი.

თუმცა, ჩვენ, ჟურნალისტები, მიუხედავად მოთხოვნებისა, ვცდილობდით ამ პოლიტიკურ თამაშში არ ჩავბმულიყავით და როგორც ჩვენი პროფესიისათვის მიზანშეწონილია ზედამხედველის და ფაქტების ამსახველის ამპლუაში დავრჩენილიყავით, რამდენად კარგად გამოგვივიდა, ეს მკითხველისათვის მიგვინდვია განსასჯელად, ჩვენთვის კი თითოეულ კანდიდატთან თანამშრომლობა დიდი პატივი იყო.

პრესა რეკლამისათვის ერთ–ერთი საუკეთესო საშუალებაა, თუმცა, ჩვენ ისიც კარგად გვესმის რომ ზოგჯერ ჭარბი რეკლამა ანტირეკლამის ტოლფასია; მით უფრო, რომ არცერთ კანდიდატს, მათ შორის, უძლიერეს ეკონომისტს და საუკეთესო ინჟინერს ზედმეტი ქება–დიდება არ ესაჭიროებოდათ, აქედან გამომდინარე, არც დამცირება ეკადრებოდათ.

მათთან შეხვედრები ყოველ საღამოს ხალხს დღის წესრიგად გადაექცა, აქ იხილავდა სამივე მათგანი საკუთარ პროგრამას, აქ იძლეოდნენ დაპირებებს და ხშირ შემთხვევაში აპლოდისმენტებსაც იმსახურებდნენ. დღითიდღე იძაბებოდა მდგომარეობა და დამუხტულმა გულშემატკივრებმა, როგორც იქნა, 31 ოქტომბრამდე მიაღწიეს.

როგორც კომისიის თავმჯდომარეები ბრძანებენ, არნახული ობიექტურობით ჩატარდა ამ წელს არჩევნები ლეჩხუმში, იგივეს აღასტურებდნენ ჩამოსული დამკვირვებლებიც.

ჩვენ ფეხდაფეხ მოვიარეთ ლეჩხუმის რამდენიმე საარჩევნო უბანი, მათ შორის: ქ. ცაგერის, სოფელ ქვედა ცაგერის, ორბელის, ლაჯანის, ალპანისა და ტვიშის უბნები. წინასაარჩევნო დებატებისაგან განსხვავებით ოლიმპიური სიმშვიდე სუფევდა თითოეულ მათგანში, თუ არ ჩავთვლით, სოფელ ტვიშში მცირედი ინციდენტისათვის აღშფოთებული ხალხის დახვედრას. პარტიებიდან წარგზავნილი დამკვირვებლები და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილი პირები, ყოველგვარი ზედმეტი ნიუანსების გარეშე ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

საღამოს 12 საათისათვის უკვე საეჭვო აღარაფერი იყო, ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. მეორე დღეს კი ქუჩაში ცაგერლები ერთმანეთს არჩევნების დასრულებას ულოცავდნენ და გამარჯვებულ კანდიდატს კი—დეპუტატობას, დეპუტატს, რომლისაც, სულ მცირე 5780... ლეჩხუმელს სწამს და იმედი აქვს.

თუმცა, ესოდენ ახლობელ ადამიანებში „გამარჯვებულის“ და „დამარცხებულის“ გამოცხადება არც ისე ადვილია. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ავთანდილ სილაგაძე პარლამენტის დეპუტატი ვერ გახდა, ლეჩხუმის ღირსეულ შვილად რჩება და მისი იმედი ჩვენს მხარეს ყოველთვის ექნება. ვფიქრობ, პარლამენტი უნივერსიტეტი პრორექტორის, აკადემიკოსისათვის ერთადერთი ადგილი არ არის, საიდანაც საკუთარი ღირსებისა და შესაძლებლობის გამოჩენა შეეძლება, პარლამენტიდან კი მეორე ღირსეული ლეჩხუმელი იღვაწებს და დაუმტკიცებს თავის ამომრჩეველებს საკუთარ შესაძლებლობებს, მცდელობის არდაკლებაში კი ეჭვიც აღარ გვეპარება.

ასე რომ, რამდენად სწორი არჩევანი გაკეთდა, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, დამდეგ ოთხ წელიწადში ჩვენ რადიკალურ ცვლილებებს ველოდებით ლეჩხუმის სასიკეთოდ. ერთი რამ კი უკვე ცხადია: არჩევანს აკეთებს ხალხი, თითოეული ჩვენთაგანი და თითოეული ჩვენგანის ხელშია ჩვენივე ბედი. წავიდა ის დრო, როცა ერთი და ორი წყვეტდა მილიონების ბედს და ისიც, როცა ჩვენ არ გაგვაჩნდა საკუთარი მრწამსი. ეს, ვფიქრობ, დიდი მიღწევაა დემოკრატიული საწყისებისათვის.

მე, ისღა დამრჩენია, ჩვენი სარედაქციო კოლეგიის სახელით პირველობა მივულოცო დეპუტატ კარლო მუშკუდიანს და მმართველ პარტიას—„მოქალაქეთა კავშირს“ და ვუსურვო წარმატებები და ხალხის დიდი ნდობის გამართლება.

თამარ დავითულიანი

სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება ატარებს აუქციონს ნულოვანი საწყისი ფასით

ყურადღება

აუქციონზე გამოტანილი იქნება:

ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ავტოსატრანსპორტო საწარმოს და სოფლის მეურნეობის სახაზინო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტოტრანსპორტი, რომელთა პრივატიზება ვერ განხორციელდა 50 პროცენტის ფასდაკლებით.

აუქციონი გაიმართება განცხადების გამოქვეყნებიდან 45 კალენდარული დღის შემდეგ, 12 საათზე სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის განყოფილებაში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონულ განყოფილებაში უნდა წარმოადგინონ განაცხადი, თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები. თუ 45-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და მთავრდება მომდევნო სამუშაო დღის 17 საათზე.

განაცხადები მიიღება ყოველდღე 10 სთ–დან 17 სთ–მდე, მისამართზე: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64.

სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილება

№	ავტომანქანის მარკა	სახელმ. ნომერი	ექპლ. შესვ. წელი	„ბე“-ს სიდიდე აშშ დოლ.	„ბიჯი“ აშშ დოლ.
1	ზილ 130	1264 გრძ	1974	45,4	22,7
2	ზილ 130	6631 გაც	1981	52,9	26,5
3	ზილ 130	6656 გაც	1981	52,9	26,5
4	ზილ 130	6895 გაბ	1975	36,2	18,1
5	ზილ 157	6646 გაც	1985	53,1	26,6
6	საზ 5301	6658 გაც	1980	45,4	22,7
7	საზ 3507	7516 გრბ	1988	65,0	32,5
8	საზ 3507	1263 გრბ	1987	52,0	26,0
9	გაზ 53 ცისტ.	6642 გაც	1980	52,0	26,0
10	გაზ 53-02-01	1238 გრბ	1990	93,7	46,3
11	გაზ 53-ბ	6645 გაც	1983	58,5	29,3
12	გაზ 53	6606 გაც	1985	60,4	30,2
13	მმზ 4502	0893 გაც	1981	49,7	22,9
14	გაზ 53	7562 გრა	1989	53,2	26,6
15	მმზ 4502	0894 გაც	1981	49,7	22,9
16	მმზ 4502	0895 გაო	1981	49,7	22,9
17	მმზ 4502	0896 გაო	1980	49,7	22,9
18	მმზ 4502	6653 გაც	1983	49,7	22,9
19	მმზ 4502	6654 გაც	1983	49,7	22,9
20	მმზ 555	6651 გრა	1982	55,9	27,9
21	მმზ 555	6853 გაო	1982	55,9	27,9
22	მმზ 555	6859 გაო	1982	55,9	27,9
23	მმზ 555	6850 გაო	1982	55,9	27,9
24	მმზ 555	0809 გაო	1983	58,9	29,5
25	მმზ 555	0845 გაო	1981	53,4	26,7
26	მმზ 555	6664 გაც	1986	64,1	32,0
27	მმზ 555	0547 გაც	1987	54,9	27,5
28	მმზ 555	7504 გაც	1988	61,9	30,9
29	მმზ 555	0891 მამ	1985	51,4	25,7
30	მმზ 555	0534 გაც	1984	48,8	24,4



მესმის, რომ მძიმე ფვრითია, მაგრამ რა მუშინია...

ინტერვიუ დეპუტატ კარლო მუშკუდიანთან

ვადგავართ, პრესაც დემოკრატიული უნდა იყოს ყველასათვის, რომელი პარტიის წევრიც არ უნდა იყოს პიროვნება.

მინდა, ასევე, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ჩემს ლეჩხუმელ ამომრჩეველს. ყველას, ვინც ეს გამარჯვება შექმნა და გაიზიარა.

--თუ ელოდით გამარჯვებას და ისიც მაინტერესებს რატომ ელოდით?

--გამარჯვებას ველოდი. რაც შეეხება იმას, თუ რატომ--ხალხს სჯერა ჩემი. ისიც სჯერა, რომ მე დემე, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა წევრმა ამ საზოგადოებისა.

--ჩვენი საუბარი 3 ნოემბერს მიმდინარეობს. სამი დღის ჩავლილია არჩევნები. საზოგადოებას ისევ ეტყობა დაძაბულობის კვალი.

ამბობენ გალმა-გამოლმა ნაპირზე დარჩნენ ლეჩხუმელები. მე, როგორც ჟურნალისტი, ამ აზრს ნამდვილად არ ვეთანხმები. მაინტერესებს თქვენი თვალთახედვა--მართლაც ასეა? დეპუტატი მე წარმომიდგენია ამ გაჩენილი ნაპრალის ამომვსებ ძალად. როგორ ფიქრობთ ამოვსებას ამ ნაპრალისას?

--დღეს 3 ნოემბერს, მე ისევ აქა ვარ. 1 ნოემბერს მომლოცველთა მიღებას დავეჭირდი, 2 ნოემბერს ალაფურშეტზე ხალხი მოვიპატიჟეთ, რაიონის ხელმძღვანელობაც მოვიდა. ნაპრალის ამოვსება მე 1 ნოემბრიდანვე დავიწყე და ამაზე ბატონი გამგებელიც წამოვიდა. ნაპრალი შექმნეს ზოგიერთმა ისეთმა პიროვნებებმა, რომლებსაც არჩევნები მხოლოდ საკუთარი ამბიციური პრობლემების მოსაგვარებლად სჭირდებოდათ. თითქოს მათ ლეჩხუმისათვის უნდათ სიკეთე. ამ პიროვნებებს, შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ არასოდეს ლეჩხუმისათვის სიკეთე არ მოუტანიათ. აქ ძირითადი მასა არაფერ შუაშია, ფიგურირებს რამდენიმე პიროვნება. მათ ლეჩხუმის ინტერესები არასოდეს არ უნდა ვანაცვალოთ. ეს ნაპრალი, როგორც თქვენ შეარქვით, სასწრაფოდ უნდა ამოივსოს. არავითარი იქეთა და აქეთა მხარე აღარ იარსებებს. მე ყველას შევარიგებ, ყველას მოვეფერები...

ე.ი. მოარული ხმები იმის შესახებ, რომ კარლო მუშკუდიანი დაიწყებს ანგარიშწორებას აბსოლუტური სიცრუეა?

--ნამდვილი სიცრუეა. ამას პატარა კაცები, პატარა პიროვნებები აკეთებენ. მე, პატარა პიროვნებად ჩემი თავი, რაც არ უნდა ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, არ მიმაჩნია. ჩვენ უნდა მივაჩვიოთ ხალხი თავისი ნების თავისუფლად გამოხატვას.

საქართველოს პარლამენტში ორი ძალა მოვიდა. ცსკ-ს შედეგები ფაქტიურად ცნობილია. როგორც საინფორმაციო საშუალებები ყოველ წუთში გვამცნობენ--ეს არის ორი დაპირისპირებული ძალა. როგორ ფიქრობთ--რარიგ წარიმართება საპარლამენტო მუშაობა.

--თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით და მინდა გითხრათ, რომ კითხვა ნამდვილად არ ,მიმაჩნია სწორად. იმიტომ რომ, მარტო ინფორმაციის წყაროებით ამის განსაზღვრა ვერ წარმომიდგენია. რატომ ფიქრობს ან ერთი ან მეორე ძალა, რომ ისინი უკვე დაპირისპირებულნი არიან? როგორ ფიქრობთ--ნუთუ მე ვერ შევძლებ დავინახო ვინ არიან ეს ძალები, რა დევს მათ პროგრამაში? ჩემი საქართველოსთვის ვინც წესიერად გადადგამს ნაბიჯს, იმ ძალებს დავუჭერ მხარს. საქართველოში დაპირისპირებული მხარეები არ უნდა არსებობდნენ.

--მე, როგორც ერთ-ერთ ქართველ ამომრჩეველს, უბრალოდ გული მწყდება იმაზე, რომ ისეთი პოლიტიკოსები, როგორებიც არიან მიხეილ ჯიბუტი, გიორგი კობახიძე, მამუკა გიორგაძე, შალვა ნათელაშვილი, ირინე სარიშვილი და ა.შ. დარჩნენ პარლამენტს მიღმა. ხომ არ დააკლდებიან ისინი ქართულ პოლიტიკას და ძალიან მნიშვნელოვნადაც?

--ზუსტად ვეთანხმები თქვენს შეკითხვას--მნიშვნელოვნად დააკლდებიან...

--დიდი ტვირთის შეგრძნება თქვენში უკვე დევს. რამდენად შეიძლება ატაროთ იგი?!

--თუ ერთ კაცს შეუძლია კარგ ძალებთან ერთად ლეჩხუმისათვის რაიმე გააკეთოს მეორე მე ვიქნები. მე სიმართლეს მოვუტან ხალხს, მათთან ვიტრიალებ, ვიცი რომ დიდი ტვირთია, მაგრამ არ მეშინია.

--ხომ არ გიფიქრიათ გამოხვიდეთ პარლამენტის პირველ სხდომაზე?

--გამოსვლაზე მიფიქრია, მაგრამ რა ფორმით ამაზე ნამდვილად არა.

--წინასაარჩევნო შეხვედრებიდან თქვენ ალბათ გაითავისეთ ის, რა უფრომეტად ტკივა ლეჩხუმს. რა არის ის პირველი პრიორიტეტი, რითაც დაიწყებთ ლეჩხუმელი ხალხის თანადგომას?

--პირველი? ლეჩხუმს რწმენა უნდა დავუბრუნო. ლეჩხუმელი კაცი იმდენად პატრიოტია, რომ ვალარ ჩაგვის მიუღებელ პენსია-ხელფასებს, ოღონდაც წესიერი იყოს. ყველანაირი წესრიგი უნდა დამყარდეს. დაწყებული სამართალდამცავი ორგანოებიდან დამთავრებული თითოეულ პიროვნებამდე. ეს არ არის რთული მოსაგვარებელი, გადაუწყვეტელი პრობლემები არ არსებობს.

--არ იფიქროთ, რომ ვსარგებლობთ პირველი ინტერვიუს უფლებით და რადაც შეპირებებზე გელაპარაკებით. ლეჩხუმელი მკითხველი მიეჩვია ჩვენს გაზეთს თავისი მინუსებითა და პლიუსებით. ნამდვილად არ შეიძლება დავუკარგოთ რაიონის გამგებელს ბატონ ოთარ კვენტაძეს ის ძალისხმევა, რითაც ცდილობს როგორმე მკითხველამდე გაზეთი მივიდეს. ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ საკუთარი ხარჯებიდანაც კი გვეხმარება კრიტიკულ მომენტებში. თქვენც ალბათ არ დაგვამადლით თანადგომას და დახმარებას.

--მე ისევ ვერ „ვივიწყებ" იმას, რომ გაზეთის ფურცლებზე თანაბარი პირობებით არ მისარგებლია წინასაარჩევნო პერიოდში, მაგრამ არავითარი დაპირისპირება... გაზეთი უნდა არსებობდეს დაცული ყველა წესით და კანონით. გწამდეთ, რომ თანადგომა იქნება ყოველგვარი ანგარების გარეშე.

--უეცრად, წინასაარჩევნო მარათონის დღეები და ელდარ შენგელაიას ცნობილი ქართული ფილმის ფრაზა გამახსენდა--თქვენ ყოველგვარი წინაალმდეგობების მიუხედავად მაინც „აფრინდით"...

--მე შეიძლება ბევრი რამ მიწოდეს, მაგრამ ცხოვრებაში თუ არა, ზოდიაქოს ნიშნით მაინცა ვარ „ლომი". ბევრი გულსატკენი შედარებები გააკეთეს ჩემზე. მომავალში ეს აღარავის გამოადგება.

--ისევ დამრჩენია კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დიდი გამარჯვება და ისევ ლეჩხუმელ ხალხთან შეხვედრის იმედით დროებით დაგეშვიდობოთ.

--უღრმესი მადლობა იმისათვის, რომ მობრძანდით, შეწუხდით. კიდევ ერთხელ ვულოცავ ლეჩხუმელ ხალხს თავისი ნების გამოხატულების დაგვირგვინებას...

ყველას დიდი მადლობა და დიდი სიყვარული სიყვარულის წილ...

მარინა სვანიძე

ჩვენი წარსულიდან

სოფელი ზუბი და თაკვეხის საეხისთავო

ლეჩხუმი განთქმულია უძველესი არქიტექტურული ძეგლების, ციხეებისა და კოშკების სიმრავლით, რაც გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის ისტორიული ხვედრითაა განპირობებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც სოფელი ზუბია. აქაური ადრეფეოდალური პერიოდის ზუბის, ქვაბკარის, ქვაწითლის და ისუნდრის ციხეები საიმედოდ აკონტროლებენ ცხენისწყლის შუაწელის, ჯონოულის, კვერეშულას, ისუნდრის ხევებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს.

„...გორდიდან ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა,--წერს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც უწოდებენ თაკუერად, არამედ მოიგო სახელი გარემოთა მთათაგან, კუერსავით მდებარესა--იხილე ესე მთა კუერი,--ან ციხისაგან ფრიად მაგარისა მუნვე თაკუერისა". (ქართლის ცხოვრება ტ. მე-4, გვ. 748).

ციხის სახელწოდების წარმოქმნის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით ამბობს: „ცხენისწყლის მიერთვის გორდსზეით, ჩრდილოდამ, კავკასიის მიმდინარე ხევი და ამ ხევზე არს ციხე თაეკვერის, მაღალ კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი, არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კვერსავით მდებარისა--იხილე ესე მთაკვერის". (იქვე).

ზუბის ციხე შესწავლილი და აღწერილი აქვს აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს, რომელიც აღნიშნავს: „შემორჩენილი ნაგებობები ეჭვს არ ტოვებენ, რომ საქმე გვაქვს ციხედარბაზთან, ფეოდალის რეზიდენციასთან, ამდენად ცხადი უნდა იყოს, რომ მის „ქვეყანას" შეადგენდა ჩრდილოეთიდან მომდინარე ველი--იგივე მურის ციხის „შესავალი", თუ მთელი ლეჩხუმი არა. ამდენადვე გასაკვეცია ამ ორი ციხის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება, რაც არქეოლოგიური სამუშაოების გარეშე შეუძლებელია. საერთო შთაბეჭდილებებით, ზუბის ციხე უფრო ძველი უნდა იყოს. კერძოდ, იგი უნდა ყოფილიყო ლეჩხუმის უმთავრესი ციხესიმაგრე, ანუ იგივე „ციხეთაკვერი" (დ. მუსხელიშვილის „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები", 1. თბ. 1977 გვ. 127).

მართლაც, ასხის მთის კალთებზე და მის მიდამოებში არსებული ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა მთაკვერი, კვერეშულა, კვერეგვერდი, საკვერიე, ცხაკური, (ცხაკუერი, ცხაკვერი). აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ სწორედ აქ უნდა ვეძიოთ თაკვერის ციხე და არა სხვაგან.

ზუბის ციხის--თაკვერის ციხის ფუნქციები, ალბათ, მხოლოდ თავდაცვით არ შემოიფარგლებოდა და მას ქვეყნის გამგებლის შტაბბინის მისიაც ჰქონდა დაკისრებული. ამაზე, სხვა რომ არა, მისი ადგილმდებარეობა მეტყველებს თვალნათლივ. ეს ციხე-სიმაგრე მდებარეობს გზაჯვარედინზე. აქ გადის უძველესი დროიდან არსებული სვანეთ-იმერეთის შემაერთებელი გზა. აქვეა ქვაბკარისა და ქვაწითლის ციხეების გავლით კვერეშულას ხევის ძირითადი გზა სამეგრელოსაკენ და ასხის მთის საძოვრებისაკენ. როგორც ციხეებიდან, ასევე ასხის მთის გადმოსახედიდან და მისი დღემდე შეუწყვდომელი იდუმალებით მოცული გამოქვაბულებიდან ხელისგულივით ჩანს მთელი ხეობა და კაცის შეუიარაღებელ თვალსაც კი ვერ გამოეპარება შეუმჩნეველი ვერავითარი სულდგმული. ჯონოულის ხევით გზა გადადის როგორც სამეგრელოში (ჯვრის გადასასვლელი), ისე ქვემო სვანეთში (ახალჭალის გადასასვლელი). აქედან მიემართება გზა რაჭისაკენ. ციხიდან უმოკლესი გზაა ხვამლისაკენ. ჯონოულის ხევშია სახელგანთქმული სალოცავი--„ჩქუმის მთავარი ანგელოზი". არ შეიძლება შემთხვევით იყოს ზუბის და ისუნდრის ციხეებს შუა მდებარე ზეგანზე არსებული ტოპონიმიც--„ნაქალაქარი".

ზუბის ციხისა და ქალაქის მასშტაბურობაზე ისიც მეტყველებს, რომ სასმელ წყლად სოფელ ისუნდრიდან გადმოუყვანიათ მთის მდინარე, რომელსაც ამჟამად ზუბის ღელე ჰქვია და მის კუთვნილებაზე ისუნდრელებს დღესაც ავქვთ პრეტენზია.

ყურადღებას იპყრობს ასხის კალთებზე არსებული ტოპონიმი--„ნამჭედლარი"... „ნამჭედლები", რომლის მიდამოებში დღემდეა შემორჩენილი სპილენძის, რკინისა და ტყვიის ნარჩენები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ოდესღაც აქ არსებობდა სხვადასხვა მეტალის წარმოება. არა ერთი ლეგენდა და თქმულებაა ასხის მთის მიდამოებში ოქროს მდიდარი საბადოს შესახებ და ა.შ. სახეზეა სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ძველისძველი სამეურნეო, საყოფაცხოვრებო თუ საბრძოლო იარაღები. ეს მიდამოები მდიდარია ბუნებრივი გამოქვაბულებით, რომლებსაც აშკარად ემჩნევა ადამიანის გონებისა და ხელის ნაკვალევი.

ზემოთქმული აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ახლანდელ ზუბს, რომელიც ადრე ფეოდალურ პერიოდში ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე წმინდა გიორგის ეკლესიის შემოგარენში იყო განლაგებული და მოგვიანებით ზემოთ ასხის კალთებისაკენ გადაანაცვლა, არ შეიძლებოდა არ რქმეოდა თაკვერი, რომლისგანაც მიიღო სახელწოდება მისმა ციხემ და საერთოდ, თაკვერის საერისთავომ.

აქვე დავძენთ შემდეგს: თავდაპირველად თაკვერი ეწოდა ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმს. შემდგომში თაკვერი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ფართო მნიშვნელობით იგი რაჭა-ლეჩხუმს მოიცავდა, ვიწრო მნიშვნელობით--მდინარე ცხენისწყლის აუზის შუაწელსა და მდინარე ლაჯანურს შორის მდებარე ტერიტორიას.

ჩვენი აზრით, ამ მეორე მნიშვნელობით ნაგულისხმევი ტერიტორიის, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად თაკვერის ცენტრი სოფელი თაკვერი (ახლანდელი ს. ზუბი) უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი გამგებლის რეზიდენცია--ციხე თაკვერი (ახლანდელი ზუბის ციხე.)

ვალერიან ბენიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ შემდგარი ინტერვიუ და... გაუცემელი ხელფასები

ლაჯანურჰესის კასკადში წინასაარჩევნო განწყობილების გამოსარკვევად ნამდვილად არ წავსულვართ. უბრალოდ, გვაინტერესებდა რაიონის ტერიტორიაზე ამ თითქმის ერთადერთი „ცოცხალი" საწარმოს ხელმძღვანელთა და მუშაკთა პრობლემები. ჩვენი სტუმრობა ჰესში იმ პერიოდს დაემთხვა, როცა თავკაცები ათი თვის მიუღებელი ხელფასების ბედის საძებნელად იყვნენ წასულები, ხოლო მომუშავე პერსონალი პროფკავშირების თავმჯდომარესთან, საკმაოდ გონებაგახსნილ და ენაწყლიან მამუკა ხვადაგიანთან წინასაგაფიცვო საკითხებს აწესრიგებდნენ.

ძალზე ძნელი იყო სიტუაციიდან გამომდინარე ამ აღელვებულ ხალხთან საუბარი გამეწყო, მაგრამ „ლაჯანურჰესის" კასკადის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს გიზო მუკბანიანს მაინც ვთხოვე გავსაუბრებოდით ერთმანეთს.

--ბატონო გიზო! გვაინტერესებს ჰესის დღევანდელი მდგომარეობა.

—„ლაჯანურჰესის" კასკადში ამჟამად ძირითადად მუშა მდგომარეობაშია ორი ტურბინა, საიდანაც წარმოებულ ენერგიას ვაწვდით ცაგერის, ლენტეხისა და რაჭის მოსახლეობის ნაწილს, დანარჩენს კი—საბითუმო ბაზარს, საიდანაც ელექტროენერგიის განაწილება ჩვენი ჩარევის გარეშე ხდება. რაც შეეხება ჩვენს ეკონომიკურ და მატერიალურ მდგომარეობას, როგორც თქვენი თვალით ნახეთ, მუშა-მოსამსახურეთა უკმაყოფილება ძალზე დიდია, რადგან არ მოხერხდა ხელფასის საკითხის მოწესრიგება.

--წლის დასასრულს ვუახლოვდებით. გვაინტერესებს ჰესის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და საერთო შედეგები.

—1999 წლის ცხრა თვეში ლაჯანურჰესის ენერგიის გამომუშავებამ 257.768.000 კილოვატსაათი შეადგინა. ელექტროენერგიის ხარჯმა საკუთარ მოხმარებაზე 730.840. კილოვატსაათი, საქენერგოს მივაწოდეთ 150.451.340. კილოვატსაათი, ელექტროსაბითუმო ბაზარს კი 106.585.820 კილოვატსაათი.

უკან დაბრუნებულებმა შევიტყვეთ, რომ საწარმოს მთავარი ინჟინერი მერაბ მუკვანი რაიონის ცენტრში იმყოფებოდა მთელი რიგი საკითხების მოსაწესრიგებლად. ვცადეთ, იქნებ მისგან მაინც დაგვეკმაყოფილებინა ის ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა, ჰესის ირგვლივ რომ გაგვაჩნდა. საწარმოს მთავარი ინჟინერი არც თუ მთლად კარგი განწყობით აღმოჩნდა ჟურნალისტების მიმართ. ინტერვიუ თითქმის არ შედგა... საუბარი კი ასე თუ ისე გამოვიდა. მერაბის საუბრიდან დავადგინეთ, რომ მოარული ხმები ჰესის პრივატიზების შესახებ არც თუ უსაფუძვლოა. 31 აგვისტოს ჩატარდა ტენდერი, მაგრამ იმდენად გასაიდუმლოებულია შედეგები, რომ თვით ჰესის მესვეურებმაც კი არაფერი იციან მისი მფლობელის შესახებ. სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და პრივატიზაციის ტენდერის შედეგები ალბათ მხოლოდ მას შემდეგ ეცოდინებათ, როცა ამ საქმეში გარეულ უცხოელ ინვესტორებს ასპროცენტიანი გარანტია ექნებათ (არჩევნების შემდეგ) ნორმალური მუშაობისათვის. თვით მთავარი ინჟინერიც კი, როგორც ამ საქმეში ჩახედული და მაღალი პროფესიონალი, კატეგორიული წინააღმდეგია ჰესის პრივატიზებისა, რადგან იცის, რომ ჩვენს გადამხდელუუნარო მოსახლეობას გაჭირვების მეტს არაფერს მოუტანს. ისიც გავიგეთ, რომ ჰესში დაბრუნებას მანამ არ აპირებდა, სანამ თავისი თანამშრომლების ხელფასების ბედს ნაწილობრივ მაინც არ გადაწყვეტდა.

ინტერვიუ თითქმის არ შედგა... ჩვენი საუბარი ოქტომბერში ჩაიწერა. მეორე დღიდან ჰესი გაფიცვას გვპირდებოდა. იმასაც შეგვპირდნენ—მაქსიმალურად ვეცდებით ჩვენსავით შეჭირვებულ რაიონის მოსახლეობას შუქი არ გამოვურთოთო... ჩვენს სახლებში ისევ ანათებს იმედის ნაპერწკალი.

გამგეობის კომენტარი:

პიერ ფუტკარაძე: 15 სექტემბერს შემოვიდა „ლაჯანურჰესის" კასკადის დირექტორის ენვერ თოთაძის ოფიციალური მიმართვა საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის ბატონ შალამბერიძის, სააქციო საზოგადოება „ლაჯანურჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ვაჟა მეტრეველის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ბატონ ირაკლი ფრუიძისა და რაიონის გამგეობის სახელზე, სადაც ითხოვდა ცხრა თვის ხელფასების დავალიანების გასწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩატარდებოდა აქცია სადგურის გაჩერებით. ანალოგიური შინაარსის გახლდათ „ლაჯანურჰესის" პროფკომიტეტის და საგაფიცვო კომიტეტის ერთობლივი სხდომის გადაწყვეტილებაც. რაიონის გამგეობამ ოფიციალური წერილით მიმართა საქენერგოს გენერალურ დირექტორს ბატონ ემზარ ჩაჩხიანს, სადაც ვთხოვდით მიეღოთ სათანადო ზომები ხელფასების დავალიანების გასასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მათ ვაცნობეთ, რომ მოსალოდნელია ზოგიერთი არასასურველი და გაუთვალისწინებელი შემთხვევები.



P.S.

ჰესში სტუმრობიდან თითქმის თვეზე მეტი გავიდა. წინასაარჩევნო მასალების სიმრავლის გამო წერილი გაზეთის ფურცლებზე ვერ მოხვდა, არადა გვინდოდა მათი სატკივარი მკითხველამდე მიგვეტანა. ამ აურზაურში, როგორც შევიტყვეთ პრობლემა ნაწილობრივ მართლაც გადაწყდა. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნატორის ბატონ ირაკლი ფრუიძის უშუალო ჩარევით ჰესის თანამშრომლებმა ერთი თვის ხელფასი მიიღეს. რაც შეეხება მთავარ ინჟინერს მერაბ მუკვანს, მას 16 ნოემბერს კვლავ შევხვდებიანეთ, მაგრამ როგორც გავიგეთ, დაპირებების გარდა ძირეული არაფერი მომხდარა. ამასობაში ენერგეტიკის მინისტრიც გადადგა... ამბობენ ამ სისტემას კიდევ რამდენიმე გამოცდილი მუშაკი დატოვებსო...

დაველოდოთ რა გავლენას იქონიებს საკადრო ცვლილებები ჩვენი შეჭირვებული ჰესის მუშაკთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ აურაცხელი პრობლემებით დატვირთულები არიან „ლაჯანურჰესის" ხელმძღვანელებიცა და მუშაკებიც, ჩვენს მოსახლეობას სხვა რეგიონებთან შედარებით ელექტროენერგიაზე წუწუნი ნამდვილად არ ეგების. მოფერება და სამადლობელი სიტყვები მაინც გამოვიმეტოთ-ხოლმე მათთვის. ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ.

მარინა სვანიძე

შელახული ღირსების აღდგენის დღე მიეძღვნა მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნას

1986 წლის 10 ივნისს ქუთაისში ქალაქკომის პირველმა მდივანმა საკუთარ კაბინეტში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ხალხი გააოცა ამ შემზარავმა ამბავმა და ყველას ერთი კითხვა გაუჩნდა: რაგომ??? კითხვა დიდხანს დარჩა უპასუხოდ!

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და წლებმა დაჭედილი ბედაურებივით ჩაიქროლეს, მაგრამ ბინდი, რომელიც ასლანიკაშვილების ოჯახში ჩამოწვა ქვეყანაში არსებულ შინაპოლიტიკურ დაძაბულობათა გამო, სამარცხვინოა! ეს იყო პროტესტი, რომელზეც მაშინ არავინ დაფიქრებულა.

ამბობენ, ძლიერს უფრო უჭირსო ამ ქვეყნად... უჭირდა მის სულს, სიკეთე, სიმართლე და კარგი კაცობა იყო მიზეზი მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრულისა.

მამუკა ასლანიკაშვილი ლეჩხუმის შვილი იყო, ლეჩხუმი გახლდათ ის საწყისი, რომელზეც დაფუძნებული იყო მისი სიკეთის ჭეშმარიტება. ლეჩხუმი ტორტმანებდა მის სულში, მისი ხალხის რაინდული ხასიათი ჰქონდა სისხლში შეწოვილი.

მამუკა ასლანიკაშვილი ბნეობით და ღირსებით გამორჩეული რაინდი გახლდათ. ვინაც მეტნაკლებად იცის მისი ცხოვრების გზა, დამეთანხმება, რომ შინაგანად პატიოსანი ადამიანისათვის კომპრომისი არ არსებობს. ამიგომ ჰქონდა მამუკას თვითმკვლელობით ბარდაცემულ საზოგადოებას მწვავე რეაქცია. ვერაფერმა შეაჩერა ტალღა, რომელიც უკანასკნელ გზაზე გულწრფელი ცრემლით მიაცილებდა სრულიად ახალგაზრდა კაცს.

უსამართლობა დადიან—გელოვან—ასლანიკაშვილების ოჯახის მიმართ „არ ახალია, ძველია". ამიგომ მორიგი ჭირთათმენით შეეგება მორიგ ტრაგედიას უახლოესი ჭირისუფალი, რომელიც უკვე მერამდენედ აკრძალული, თანაგრძნობისა და ჩუმი გლოვის მოწმე გახდა.

ბოლშევიკურმა „სამართალმა" ერთი ოჯახის სამი თაობა მოკლა—ინდიკო, დადამი და მამუკა—ბაბუა, შვილი და შვილიშვილი.

დღეს მამუკა ასლანიკაშვილი ჩვენს გვერდითაა, საქმით მეტყველი, სული თანამდევი, იგი ყველგან არის და არსად არის, მამუკა დედის წიაღშია, დაბრუნების დიდ მისტერიას ნაზიარევი, ისეთივე სუფთა, სპეტაკი, როგორმაც ამქვეყნიური ყოფა დატოვა.

ბევრი დიდად ნიჭიერი სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწის აწ გარდაცვლილი კაცის სახელი დავიწყებას მიეცა ახირებული და ამბიციური ჭირისუფლობის გამო, ჭირისუფლობა ხალხს უნდა ვაცადოთ, ხალხი უტყუარია, ხალხმა უკეთ იცის საუკუნო სიცოცხლის ჭეშმარიტება.

მამუკა ასლანიკაშვილს ჭირისუფლად დარჩა მეუღლე, ქალბატონი ლია რუდოვა-ასლანიკაშვილი—პროფესიით ექიმი, შვილი ალეკო, რომელმაც დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აი, რას წერს ალეკო ნაგო გუბელაძის წიგნში „მამუკა ასლანიკაშვილი".

„—შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, რომ ჩემი არჩევანი სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობა, განპირობებული იყოს იმ ტრაგედიით, რაც მამაჩემს დაეგყდა თავს, მაგრამ ეს ასე არ არის. მე არასოდეს მიფიქრია შურისძიება და ანგარიშსწორება. ამას თვით მამუკა არ მომიწონებდა და მეც ყოველთვის მახსოვს, რომ მამუკას შვილობა ძალიან ბევრს მავალებს".

1999 წლის 20 ოქტომბერს თბილისში მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნის საღამო. საღამო მიჰყავდა ცნობილ მსახიობს გიორგი ქავთარაძეს. საღამოს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მოწვეულ სტუმრებში იყვნენ წარმომადგენლები ლეჩხუმიდან: ცაგერის რაიონის გამგეგელი ოთარ კვენტაძე, არჩილ ვიქტორის ძე გელოვანის სახელობის ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი მანანა გორგასლიძე, აგრეთვე იმ რაიონების წარმომადგენლები, საიდაც უმოღვაწია მამუკას.

„—ამბობენ, ყველაზე დიდი ცოდვა თვითმკვლელობაა, მაგრამ უფალმა განსაჯოს. მას თავი არ მოუკლავს, რადგან იგი შინაგანად ქრისტიანი იყო"—თქვა თავის გამოსელაში პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

ხსოვნის საღამოზე აღინიშნა, რომ ეს იყო შელახული ღირსების აღდგენის დღე. მას არ შეეძლო თავი მოეკლა, ტყვია ესროლა უწესობის შემქმნელს და არა თავის თავს, მაშინ როდესაც ჰაერი გაჟღენთილი იყო შიშით.

თბილისში გაიხსნა მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნის მემორიალური დაფა. ქუთაისში, ზესტაფონში, ლეჩხუმში ქუჩებს მისი სახელი ეწოდა.

„—მერე, მერე რა.. (წერს ანზორ ბურჯანაძე წიგნში „მამუკა ასლანიკაშვილი"), წავიდა ერთი კაცი, დაეკლდა უპირველეს ყოვლისა მის ოჯახს, მის ცოლ-შვილს, მაგრამ ამავ დროს საქართველოს დაეკლდა იგი, მე ვიმეორებ მამუკას არ გამოუჩენია ის ნიჭი და უნარი, რაც მას შეეძლო, იმიგომ რომ მაშინდელი სისტემა ამის საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ მაინც მოახერხა, ყველას დაგვენახა, რომ ის იყო ამომავალი კაშკაშა ვარსკვლავი. მისი ნიჭი და უნარი ძალიან სჭირდება დღევანდელ საქართველოს".

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თბილისიდან ნინო ყვირილიანი

ყველაზე ლიტი ჯილდო ხალხის სიყვარული

მექი ყურაშვილს ღირსების ორდენი გადაეცა

მექი ყურაშვილი—ამ სახელს არ სჭირდება ლეჩხუმის საზოგადოების წინაშე წარდგენა, საქართველოს კულტურის დამსახურებულ მუშაკს ყველა იცნობს.

კაცი, რომელმაც ლეჩხუმელები აზიარა როგორც ხალხურ, ასევე კლასიკურ მუსიკას.

სცენა და პროფესიის სიყვარული ასაზრდოებდა მთელი ცხოვრების მანძილზე, რომლისთვისაც, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, არასოდეს უღალატნია.

თვალი გადავავლოთ მის შემოქმედებითი მოღვაწეობის გზას:

1925 წელს შემოქმედებით მუშაობას ეწევა ლენტეხის რაიონში, შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული მუშაკი (მუსიკალურ მუშათა ფაკულტეტი), საიდანაც გადავიდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე. მე-5 კურსიდან გაწვეულ იქნა დიდ სამამულო ომში, ფრონტიდან მკერდდამშვენებული დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

თავისი შემოქმედებითი „შესვენების" შემდეგ, მან პროფესიული მუშაობა თბილისში გააგრძელა, პედაგოგად მოღვაწეობდა სამუსიკო სკოლებში. ამის შემდეგ ცხოვრობს და მუშაობს სოხუმში. 1958 წელს მიიწვიეს ცაგერის კულტურის სახლში.

ბატონი მექი საცხოვრებლად მკვიდრდება მშობლიურ რაიონში და იწყება მისი შემოქმედებითი საქმიანობის აღმასვლა. რაიონში გახსნა სამუსიკო სკოლა, რომლის დირექტორად წლების განმავლობაში თვითონ მუშაობდა, თან ხელმძღვანელობას უწევდა ცაგერის აკადემიურ გუნდს.

ღვაწლმოსილ პედაგოგს არაერთი ჯილდო აქვს მიღებული: არის რესპუბლიკის ოლიმპიადების მრავალგზის ლაურეატი და ოქროს მედლების მფლობელი, არჩეულია ცაგერის საპატიო მოქალაქედ. 1997 წელს განვლილი შემოქმედებითი მუშაობისათვის, გადაეცა პრეზიდენტის ჯილდო —ღირსების მედალი.

და აი, 1999 წლის 29 ოქტომბერს, ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში, 92 წლის ასაკში, მექი ყურაშვილს, საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის უმაღლესი ჯილდო, ღირსების ორდენი, ქართული ფოლკლორის მოვლა-პატრონობისა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

ჯილდო გადასცა საქართველოს მეცნიერთა და ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის GIFA-ს წევრმა, კომპოზიტორმა იაკობ ბობოხიძემ.

მისალოცი სიტყვები წარმოთქვეს ცაგერის რაიონული გამგეობის თავმჯდომარემ ოთარ კვენტაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა ავთანდილ სილაგაძემ, კულტურის განყოფილების გამგემ დათო სანთელაძემ, ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორმა მანანა გორგასლიძემ, ჟურნალისტმა ბელა საღინაძემ, კინორეჟისორმა გიორგი კაჭარავამ, ანსამბლ „საღაღობოს" ხელმძღვანელმა ზაზა ყურაშვილმა, ფრონტელმა მეგობარმა სარდიონ ფუტკარაძემ, ამასთან მას გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

ბატონმა მექიმ უღრმესი მადლობა გადაუხადა ყველას, თავისი შრომისა და ამაგის დაფასებისათვის. მისი ათრთოლებული ხელები და სიხარულით ცრემლჩამდგარი თვალები არასოდეს დაავიწყდება იქ დამსწრეთ.

მექი ყურაშვილის დამსახურებაა ისიც, რომ შვილი, ქალბატონი რუსუდან ყურაშვილი, სახელოვანი გამგრძელებელია მამის ტრადიციებისა.

დიახ, თქვენ მრავალი ჯილდო გაქვთ მიღებული ბატონო მექი, თქვენი შრომის საფასოდ, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ის ჯილდოა, რომელსაც ხალხის სიყვარული ჰქვია.

ეკა ყვირილიანი

„ახალდაქორწინებულთათვის და არა მხოლოდ მათთვის"

ღვაწლმოსილ, ნიჭიერ ჟურნალისტს იზოლდა ხაინდრავაბენიძეს იცნობს ჩვენი მკითხველი. ლეჩხუმელთა რძალი (იგი პროფესორ ვალერი ბენიძის მეუღლეა) არა ერთი წიგნის ავტორია, და რაც ყველაზე სასიამოვნოა, ამ წიგნების პირველ ეგზემპლარებს ლეჩხუმში გზავნის.

კიდევ ერთი საინტერესო და ფრიად სასარგებლო წიგნი გამოსცა ქალბატონმა იზომ ამ ცოტა ხნის წინ: „ახალდაქორწინებულთათვის და არა მხოლოდ მათთვის". წიგნში გაშუქებულია საოჯახო პრობლემატიკის საკითხები——წრფელი სიყვარული და მასზე დაფუძნებული ცოლქმრული ურთიერთობა, რძალ-დედამთილობა, ოჯახური გარემო, ზოგი რამ აღზრდის შესახებ და ა.შ.

წიგნში შეტანილია სასარგებლო რჩევა-დარიგებები, ქართული სამზარეულოს საიდუმლოებანი, ზოგიერთი კერძის დამზადების რეცეპტი, საინტერესო ამბების მოზაიკა და ჩვენთვის სასარგებლო ბევრი რამ... ამას პლუს, წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული და მართლაც კარგი საჩუქარია ახალდაქორწინებულთათვის და არა მხოლოდ მათთვის.

ქალბატონი იზოლდა თავად არის დიდი და ლამაზი ოჯახის დიასახლისი, სამაგალითო მეუღლე და დედა, ბებია, სიდედრი და დედამთილი. ამიტომაც უტრიალებს მისი ფიქრი და კალამი ოჯახური იდილიის საიდუმლოებებს, ამიტომაც აქვს მორალური უფლება წეროს ქართული ოჯახის შექმნის წმინდა ეროვნულ, სახელმწიფოებრივ საკითხებზე.

ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ, ქალბატონ იზოლდას.

მზევინარ ძნელაძე

„ეკლესია არს ხახე მაცხოვრის"

XX საუკუნის მიწურულს, უკეთესი იქნებოდა გვესაუბრა ქართველთა დიდ სულიერებაზე, მაგრამ საუბედუროდ, თამარისა და დავითის, ქეთევანისა და ბერი თევდორეს შთამომავალთ დღეს ნამდვილად გვჭირდება განმარტება ისეთ საკითხებზე, რომელთა არ ცოდნა არა მარტო სირცხვილია, არამედ უფრო მეტიც, არ გვეპატიება, რადგან როცა ქართველთ მტერი ართმევდა ენას, უნგრევდა ტაძარს, უკაფავდა ვაზს, რწმენით აღსავსეული ქართველი ერი კვლავ აგებდა მას სიყვარულით და ადიდებდა უფალს დედაენაზე: „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი..." ქლერდა ქვის ჰარმონია, ცას სწვდებოდა ზარების ხმა, ფრესკაში ცხადდებოდა უზენაესი სულიერება. აქ ენთო ლამპარი მწიგნობრობის, მუნ იზრდებოდა ახალგაზრდობა, იხატებოდა და იქედებოდა ფრესკები და ხატები. ამ ქვეყნის შვილთ (მადლობა უფალს უმრავლესობა მიჰყვება წინაპართა კვალს) არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სასუფევლის დამკვიდრებისათვის აუცილებელია წმიდა გულით ვმსახურებდეთ უფალს. ამისათვის კი ღვთის სახლთან, წმიდა ტაძართან მუდმივი კავშირია საჭირო. თუმცა უმჯობესია თავიდან დავიწყოთ განმარტება:

ეკლესია არის ყველა—ცოცხალი და გარდაცვლილი მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ქრისტეს რწმენით და სიყვარულით, წმიდა საიდუმლოებით.

ეკლესია მოციქულთა ეპისტოლეებში „ღმერთის სახლად" (1 ტიმ. 3,15), „ღმერთის ქალაქად" (ებრ. 12, 22), მორწმუნეთა დედად და ბოლოს უფალი იესო ქრისტეს სხეულად იწოდება.

ეკლესია კაცთაგან კი არ არის დადგენილი, არამედ ღვთის მიერ არის დაწესებული. პირველი ტაძარი ხომ ღმერთის ნებით ააშენა მოსემ და ასევე ღმერთმა აკურთხა ადამიანის ხელით შექმნილი ტაძარი. „უთხრა უფალმა: შევისმინე შენი ლოცვა-ვედრება, რომ მევედრებოდი; მე ვაკურთხე ეს სახლი, შენ რომ ააშენე ჩემი სახელის დასამკვიდრებლად უკუნისამდე, ჩემი თვალი და გული მუდამ ყამს მანდ იქნება (III მეფეთა 9,3). აქედან გამომდინარე ღმერთი ტაძარში სუფევს და ისმენს ჩვენს ლოცვა-ვედრებას.

ეკლესია წმიდაა, რადგან მაცხოვრის უცოდველობა განსაზღვრავს მის სიწმიდეს. იგი ხომ სხეულია ქრისტესი და განა შეიძლება ქრისტეს სხეული არ იყოს წმიდა (თბილისის სასულიერო აკადემიის შრომები II ტომი). „ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაჲ და თავი თვისი მისცა მისთვის, რაჲთა იგი წმიდა ჰყოს".

ალბათ, ურიგო არ იქნება თუ ერთ პატარა შედარებას მოვიყვან: „ეკლესია არის გემი, რომელსაც მღელვარე ზღვაში მგზავრები სამშვიდობო ნაპირზე გაჰყავს. ამიტომაც ჰგავს ტაძარი გარეგნულად ხომალდს. მესაჰე ამ ხომალდისა არის იესო ქრისტე, მგზავრები—მორწმუნე ადამიანები, მღელვარე ზღვა—სოფელი, სამშვიდობო ნაპირი—ცათა სასუფეველი". იმისათვის, რომ გვიხაროდეს ორივე სოფელსა შინა, აუცილებელია ყველა მართლმადიდებელი ამ გემში ჩაჯდეს, სიყვარულით, სათნოებით, თავმდაბლობითა და სიკეთის ქმნით მოვიპოვოთ ცათა სუფევა, სინანულით განწმენდილთ რომ მიაგებს უფალი.

კვირაში შვიდი დღეა. ამ შვიდი დღიდან ექვსი ჩვენ დაგვითმო უფალმა, თვითონ კი, როგორც იოანე ოქროპირი აღნიშნავს, ერთი დღე დაიტოვა. ჩვენ კი ამ დღესაც არ გვსურს თავი შევიკავოთ ამქვეყნიური საზრუნავისაგან. ასეთი ქმედება ჰგავს იმ ადამიანის სხეულს, რომელიც მტვერითა და ჭუჭყით იფარება, თუ იგი აბანოთი არ სარგებლობს. ასევე საშინელი ცოდვის სიბინძურეში ეხვევა სულიც, თუკი უგულებელსყოფს სულიერ სწავლებას. სულიერი განბანა ხდება ეკლესიაში, სადაც სულიწმიდის მადლით მორწმუნის სულიერი ფერისცვალება ხდება.

მაშასადამე, მართლმადიდებლური ქრისტიანი აუცილებელია ტაძარში დადიოდეს, კვირაში ერთი დღე მაინც უფალს დაუთმოს, ჰყავდეს სულიერი მოძღვარი, ჰქონდეს ნიჭი გულწრფელი აღსარებისა და ზიარებისა. ცალკეულად ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი არის ეკლესიის წევრი. ყველა ადამიანმა უნდა აღიაროს თავისი უკიდურესი უმწეობა და უძლურება. იგი მთლიანად უნდა მიენდოს თავისი მოძღვრის ნებას, როგორც ქვა მოქანდაკის ხელებს ან თიხა მექოთნეს. (რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ მოძღვრის სწავლება არ ეწინააღმდეგება სახარებისეულ მცნებებს, რომლებიც მარადიულია.) აღსარების დროს მართლმადიდებელი კი არ უნდა ეძებდეს ლამაზ და შთამბეჭდავ სიტყვებს, არამედ ბავშვურად გააშიშვლოს თავისი სული და ითხოვოს შენდობა. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება გახდე ღირსი ზიარებისა, რომელიც ეკლესიის შვიდ საიდუმლოთა შორის უმთავრესია.

„მავანნი" დღეს უარყოფენ სანთლის დანთებას, ჯვრის და ხატების თაყვანისცემას, უარყოფენ წმიდა სინოდის მიერ შერაცხულ წმიდანებს, ეკლესიის შვიდ საიდუმლოს, მარხვას და ვინ იცის კიდევ რამდენ წმიდა გადმოცემას.

საინტერესოა ვის დავუჯეროთ —ღმერთს, წმიდა მოსე წინასწარმეტყველს, სოლომონ ბრძენს, ქრისტეს რჩეულ მოციქულებს, თუ იმ ახალ-ახალ სხვადასხვა სექტათა წარმომადგენლებს, რომლებიც უცხოეთიდან შემოდიან და ჩვენ თანამემამულეებს აცდუნებენ და ატყუებენ, თითქოს სანთლების შესახებ ბიბლიაში არაფერია ნათქვამი, თითქოს ვინც მართლმადიდებელ წმიდანებს თაყვანს ცემს და ლოცვას აღავლენს, რათა „ევედროს ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის", ის კერპთაყვანისმცემელია, თითქოს როგორ შეიძლება თაყვანი სცე ხატს, რომელიც აღქმული აქვთ, როგორც ფიცარი და საღებავი. ყველაფერი ეს ხომ უარყოფს წმიდა ეკლესიას, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნე ღვთის სახლია. ამ საკითხებზე მსჯელობა მომავალში გადავდოთ, რადგან კითხვები ვრცელი პასუხის გაცემას მოითხოვს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს თემის სათაურიდან გადახვევა იქნება, მხოლოდ მინდა ერთი შევახსენო ყველას, ვისაც ასეთი აზრი გაუჩნდება: მართლმადიდებელი კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია I საუკუნად არსებობდა. ვინ იცის, რამდენს გადმოულახავს დედაღვთისას წილხვედრი ერის საზღვარი უცხო ტომთაგან, რომელთაც ხმლითა თუ ცეცხლის მზაკვრობით დაგვინგრიეს და შეგვიბილწეს წმიდა სალოცავები. მაგრამ რაც მთავარია, ვერ გაგვტეხეს, ვერ ჩაკლეს ქართველში სინდისი, ზნეობა, ეროვნული ტრადიციები, წინაპართა სიყვარული და რწმენა, რომლის მოკვლაც ყველაზე ძალიან უნდოდათ, რათა სამუდამოდ დაცემულიყო ქართველი, მართლმადიდებელი ერი, რწმენა, რომლითაც ისევ ვაგებდით, ისევ ვაშენებდით სვეტიცხოველს თუ ნიკორწმიდას, ჯინწვისს თუ ალავერდს. საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი წინაპარნი ნახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ილია მართალი და სხვა მრავალნი, განა მათ დედა ეკლესია არ აწოვებდა თავის ტკბილ ძუძუს? მათი ცხოვრება ხომ მაგალითია თითოეული ქრისტიანისათვის? გავიხსენოთ თუნდაც ის 5-6 წლის კოლაელი ბავშვები, რომლებიც ქრისტიანობისათვის ქვებით ჩაქოლეს წარმართმა მშობლებმა, როგორ ამბობდნენ, ჩვენ ქრისტიანებად მოვინათლეთ და ქრისტესთვის ვეწამეთო...

ზემოთ აღვნიშნე, მართლმადიდებელი კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვა—კათოლიკე არასწორადაა გაგებული ადამიანთა მიერ. სლავურ ტექსტში სიტყვა „კათოლიკე" გადმოცემულია სიტყვით——„საყოველთაო". ეკლესიის კათოლიკეობა ერთი მხრივ უნდა გვესმოდეს როგორც მისი საზღვრების შეუზღუდველობა დროსა და სივრცეში, მეორე მხრივ კი მის წევრთა უაღრესი ერთობა ეკლესიის ცხოვრების ყველა სფეროში. ე.ი. ეკლესია არ არის შემოსაზღვრული არც სივრცით, არც დროით და არც ხალხით. რაც შეეხება სამოციქულო ეკლესია, იმიტომ ეწოდება, რომ მისი მოძღვრება ეყრდნობა ქადაგებას მოციქულებისა, რომლებიც უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებისა და აღდგომის თვითმხილველნი იყვნენ. სწორედ ქრისტეს საქმეს, სულის ხსნისა და გადარჩენის საქმეს ემსახურება ქრისტეს ეკლესია, რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება ჩვენი განმანათლებელი. უძლეველი ძალა. ლოცვითა და ადამიანის ცოდვილი ბუნების საიდუმლო განახლებით იგი ასრულებს თავის დიდ მოვალეობას. როგორც წმიდა იოანე ოქროპირი ქადაგებს: „გინდა ცხონება?——იყავი ეკლესიაში და იგი არ გაგცემს შენ. ეკლესია ზღუდეა: თუ ამ ზღუდის შიგნით იმყოფები, მგელი ვერ შეგეხება, ხოლო თუ გარეთ გახვალ, ნადირი მოგიტაცებს. ნუ განეშორები ეკლესიას, ქვეყნად მასზე ძლიერი არაფერია; ის არის შენი იმედი, მასშია შენი ცხონება (გადარჩენა)". ალბათ ძნელია ამ სიტყვებს რაიმე კომენტარი გაუკეთო, რადგან ნათლად ჩანს, რომ ერთადერთი გზა ჩვენი სულიერი სიძლიერისა არის გზა ტაძრისაკენ. ეკლესიის გარეშე სულის გადარჩენის მოიმედენი მწარედ ცდებიან. ბოლოს კი ყველაფერი ამის საილუსტრაციოდ მინდა შემდეგი სიტყვები შევახსენო ღვთისმშობლის წილხვედრი ერის შვილთ ცნობილი კონოფილმიდან:

„——ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან მიმიყვანს?

——ეს ვარლამის ქუჩაა...ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან არ მიგიყვანს...

——მაშ რა საჭიროა, რის მაჭისია გზა თუ ის ტაძართან არ მიმიყვანს?!"

P.S. მართლმორწმუნენო! მინდა შეგახსენოთ, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ზეიმობს ქრისტეშობიდან 2000 წელს. ამ უდიდეს დღესასწაულს, რომელიც XX საუკუნის ბოლოს—2000 წლის 7 იანვარს (ძვ. სტილით 25 დეკემბერი) აღინიშნება ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მომზადებული უნდა შეხვდეს. დღესასწაულისათვის მომზადებაში კი იგულისხმება მარხვა, ლოცვა და საერთოდ ეკლესიური ცხოვრება. ქრისტეშობის მარხვა იწყება 28 ნოემბრიდან და გასტანს 7 იანვრამდე. მე კი, როგორც ერთ-ერთი მართლმადიდებელი, ვისურვებდი მარხვით, ლოცვით, სიკეთის ქმნით, სულიერად ძლიერი შევხვდეთ ქრისტეშობიდან 2000 წელს.

მასალა მოამზადა
ეკატერინე ბენდელიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონატრებამ მაიქმევინა

...წვიმს.

უკვე აღარ მახსოვს მერამდენედ ვიკარგები შენზე ფიქრის გაუვალ ლაბირინთში.

უცნაურია, მაგრამ ჩემი ფიქრი საოცრად ჰგავს წვიმას. განა კოკისპირულს? არა, ცრისო, რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ ისეთს. ათი, ასი, ათასი შეუმჩნეველი და მოალერსე, თბილი და უმწეო წვიმის წვეთი რომ დაგასკუპდება თავზე, სახეზე, მხრებზე, რაღაცას გეჩურჩულება, გბირდება.

ამ საღამოსაც შემბირდნენ წვიმის წვეთები—ძალიან, ძალიან სურნელოვან გაზაფხულს მოვიყვანთო. არ ვიცი შემისრულებენ თუ არა დანაპირებს...

ალბათ, წვიმა და ჩემი ფიქრი იმით ჰგვანან ერთმანეთს, რომ გაზაფხულს მბირდებიან.

...ისე საოცრად მომინდა ახლა შენი სიახლოვე, შენი უცნაური გამოხედვის კიდევ ერთხელ ჩასუნთქვა, რომ კინაღამ ვიტირე.

ჩემი უშენობა!

ღმერთო, ძლიერო! ნუთუ ვერ გაიგე რა დამანგრეველი ხმით ამოიძახა სულმა შენი სახელი?!

გაიგებდი, უთუოდ გაიგებდი.

გნატრობ და გივიწყებ.

მერე გივიწყებ და გნატრობ ისევ.

გაზაფხულის ყვავილების ენაზე, მერცხლების ენაზე ჯერ არ უთქვამს ქალაქისათვის აღსარება... ბოლომდე არ აუხსნია სიყვარული დედამიწისთვის...

მინდა, რომ ჩემთან იყო.

ვიდგეთ ფანჯარასთან. ვუსმენდეთ გაზაფხულის მოალერსე წვიმის ბუზღუნს.

... და ჩვენდაუნებურად ვწერდეთ სარკმლის დაორთქლილ მინაზე ერთმანეთის სახელს, როგორც მაშინ...ასე უხმოდ ვიდგეთ დიდხანს, ძალიან დიდხანს.

სიტყვები?!

სიტყვები ყველაფერს დააპატარავებდნენ. ისინი „რაღაცას“ დააპატარავებდნენ.

უხმოდ ვისაუბროთ. ჩვენ ხომ ერთმანეთისაგან ვისწავლეთ ასეთი საუბარი...

...ხშირად უთქმელი რჩება „რაღაც“. ამ „რაღაცაზე“ ლაპარაკს ორივე ვერიდებით, ამ „რაღაცისა“ ორივეს გვეშინია, რამეთუ წმინდაა იგი, მიუწვდომელი, როგორც მზის სხივი ხელუხლებელი, როგორც ედემი.

...წვიმს, დედამიწას არაფერი შვენის ისე, როგორც წვიმა.

თითქოს, ნაღვლიანია ნაწვიმარი დედამიწა.

თითქოს, ჩაფიქრებულა იგი ათას საფიქრალზე.

ფიქრობს და ფიქრობს...

ფიქრობს და ფიქრობს...

ალბათ, ფიქრობს იმაზეც, თუ როგორ დაგვიტევს მე და შენ. ჩვენ ხომ გვეცოტავება ყველაფერი.

გვეცოტავება ცა...

გვეცოტავება მზე...

გვეცოტავება ჰაერი და დედამიწა, თავად დედამიწა...

ჩვენ „რაღაცას“, „სადღაც“ აფრენა სურს, ალბათ სწორედ ეს „სადღაც“ არის ის ადგილი,სადაც მე და შენ გვეპატიება „რაღაცაზე“ საუბარი.

* * *

საოცრად მიმზიდველი იყო. ღამისფერი კაბა ეცვა. თავნება ქარი მოსვენებას არ აძლევდა, გულდინჯად, სათუთად ეალერსებოდა მისი თმის ტალღებს, დახუჭუჭებულ კულულებს.

—ნეტა, ქარი ვიყო!—ინატრა ვიღაცამ და შურით ანთებული თვალები მიაპყრო ქარს და კვლავ ამოიძახა —ნეტა ქარი ვიყო!..

...წვიმს.

სულში დააბიჯებს ჩემი უშენობა. ვფიქრობ... ვფიქრობ... ვფიქრობ...

ვფიქრობ სად იწყება და სად მთავრდება ჩემი უშენობა—ალბათ, იწყება რაღაცით და მთავრდება სადღაც.

რომეო კალანდაძე

ხსოვნა

ბესიკ ვაშას ძე ტვილდიანი

შენი დაბადების დღე მოვიდა ბესიკ, მოვიდა ცრემლით, ტკივილით და უზომო ყვავილებით. მოგილოცავთ ჩვენო ლამაზო და სულით ძლიერო, ამაყო და კეთილო ბიჭო!

28 ნოემბერს 31-ისა გახდებოდი. რას დადუმებულხარ, ბესო! რად არ გვესმის შენი ომახიანი ხმა, რად მოგვანატრე შენი კეთილი ღიმილი და მოფერება, რატომ გვიქციე შენი ამჭვეტად მოვლენის დღე ცრემლად და გოდებად.

ახლა შენს საფლავთან ვართ ბესიკ. გეფერებით და ალალ ცრემლს გაყრით. ნუთუ ვერა გრძნობ, დედა მაინც შეიცოდე ჩვენო მოსიყვარულე ბიჭო!

ალალი იყოს ეს ცრემლები შენთვის, ეს წმინდა სანთლები შენი ამაყი სულის მოსახსენიებლად.

მამიდა ზოია ტვილდიანი-შკუბულიანი, მამიდაშვილები ნატო, იზა, ნანა ოჯახებით.

ჯონი ბაკურაძე



ამბობენ, სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაწყისიაო__სულის სიცოცხლისა და ცხონებისა__სამარადისოდ!

მაგრამ ჩვენ, ადამიანები მაინც ტრაგიკულად განვიცდით ახლობლის გარდაცვალებას. განსაკუთრებით კი იმისას, ვინც ნაადრევად და ახალგაზრდა ტოვებს ამქვეყნიურ ცხოვრებას...

ჯონი! შენ ხომ სულ ახალგაზრდამ დატოვე შენი კუთხე, მშობლები, შენი დედმამიშვილები, ახლობლები. შენი დედის გულმა ვეღარ გაუძლო შვილის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას და წლისთავზე გარდაიცვალა. ყველას გული გვატკინე, ყველას დაგვაკლდი, მთელი ნათესაობა მწარედ განვიცდით ამ დანაკლისს. 11 ნოემბერს 36 წელი შეგისრულდებოდა... ყველას გული გვტკივა, რომ ძველებური სიმხიარულით, სიყვარულით ანთებული თვალებით ვეღარ ხვდები ამ დღეს.

ყველანი ერთად ვლოცულობთ შენი სულისათვის, რათა უფალმა განუსვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ეკა, ხათუნა, დარეჯან ბენდელიანები

მილოცვები

მაია კოპალიანს
კობა გოგელიძეს

გილოცავთ ბედნიერებას!

მაიას თანაკლასელები

ნოდარ კოპალიანის ოჯახს!

გილოცავთ მაიას ბედნიერებას.

ნანა, ზურა ხეცურიანები

დავით კაპიტონის ძე კოპალიანს

გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას.

ოჯახი

ირმა ხეცურიანს
გურამ სილაგაძეს

გილოცავთ ბედნიერებას!

გურიკოს თანაკლასელები

ირმა ხეცურიანს
გურამ სილაგაძეს

გილოცავთ შეუღლებას! შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი.

იური, ზაური, თემური, ნონა ბენდელიანები

ვაჟა კოპალიანის ოჯახს!

გილოცავთ პატარა გიორგის დაბადებას.

ნანა, ზურა ხეცურიანები

აჩიკო ზაურის ძე კოპალიანს
ფიქრია ბორისის ასულ სალინაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალი ლამაზი დღე მომელოცოს.

სოფიკო კოპალიანი

მამუკა დავითულიანი



სევდიანი შემოდგომაა, ფიქრითა და ნაღველით სავსე, გულზე მოწოლილი დარდით... რად მოინდომა ბუნებამ შენი სიკვდილი...

მოუშუშებელი იარა ხარ ჩვენთვის, ოჯახისთვის. წახვედი ჩვენგან შორს, სულეთში სისხლმჩქეფარე ჭაბუკი, ოცნებისა და რეალობის გასაყრზე მდგომი... ნეტავ თუ იგრძენი 5 ნოემბერს, შენს დაბადების დღეზე უზომო ცრემლი და ყვავილი რომ ერთვოდა ერთმანეთს...

სიცოცხლე გწყეროდა, მაგრამ უფსკრულმა პირი დააღო და საუკუნოდ დაბინდდა შენთვის... ვიდრე თუნდაც ერთი ახლობელი ივლის ამ დედამიწაზე, ეს სული იქნება მარად უკვდავი, ამაყი და მშვენიერი, ბედთან შეურიგებელი... ჩვენ ჩამოვჭრით ნაზ სანთლებს, შენს სალოცავად ასანთებს“.

დეიდაშვილები

რედაქტორი
თამარ
დავითულიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზევინარ
ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ნანა ახვლედიანი,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-80, 7-34-09